ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ128. 128240954**

თარიღი:**04/04/2024**

„შშმ სტატუსის მქონე (18 წლამდე) ბავშვთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური, ბავშვთა ზრუნვისა და მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის (შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ბავშვთა საკურორტო რებილიტაცია) განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №24 დადგენილებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის მზევინარ გათენაძის 2024 წლის 12 მარტის N02-1282407272 და 2024 წლის 03 აპრილის N:02-1282409477 მოხსენებითი ბარათების შესაბამისად, ***ვბრძანებ:***

1. დამტკიცდეს:

ა) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება - „შშმ სტატუსის მქონე (18 წლამდე) ბავშვთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად დანართი N1-სა;

ბ) „შშმ სტატუსის მქონე (18 წლამდე) ბავშვთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი N2-სა;

გ) სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, თანახმად დანართი N3-სა;

დ) „შშმ სტატუსის მქონე (18 წლამდე) ბავშვთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში გასაცემი ვაუჩერის ფორმა, თანახმად დანართი N4-სა;

ე) განცხადების ფორმა, თანახმად დანართი N5-სა.

2. „შშმ სტატუსის მქონე (18 წლამდე) ბავშვთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში გასაცემი ვაუჩერისა და სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გიორგი ქარცივძე.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს „შშმ სტატუსის მქონე (18 წლამდე) ბავშვთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების

შენახვა, ხელშეკრულების სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისათვის მიწოდება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაზა დიასამიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი